ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2024 წლის 21 ივნისი

დაბა სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 15 აგვისტოს №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 15 აგვისტოს №16 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 23.08.2013, სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.151.016130) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 280 000 ლარი;

ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 280 000 ლარი;

გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 280 000 ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 01 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავითი ქირიკაშვილი**